
ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საუკუნოვანი ისტორიის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაა ადამიანური და მატერიალური რესურსის უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის გზით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადება, მათი პიროვნული, პროფესიული განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, კოლეჯი ძირითადი პროფილის შენარჩუნებით, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროფესიული საგანმანათლებლო ასევე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზებას.

ხედვა

2027 წლისთვის საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა წარმატებული და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარს მიაწოდებს კვალიფიციურ და კომპეტენტურ კადრს. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, ყველა პროგრამაზე, იქნება სულ მცირე 70%.

ღირებულებები

- პროფესიონალიზმი;
- სამართლიანობა;
- გუნდურობა;
- პასუხისმგებლობა;
- ტრადიციებისადმი ერთგულება.